Fintech-ის გამოწვევები და ტენდენციები, რისკები და საპასუხო რეგულირება საქართველოს მაგალითზე

სოფიკო სამხარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნეს ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

ნაშრომის ხელმძღვანელი: დავით კიკვიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი დავალების ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

სოფიკო სამხარაძე

2021 წელი

განაცხადი

„ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი კვლევის მეთოდებისა (01.2021) და აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (01.2021).”

სოფიკო სამხარაძე

2021 წელი

აბსტრაქტი

მსოფლიო ვითარდება და მის კვალდაკვალ ვითარდება საქართველოც. ტექნოლოგიები გამოიყენება ფინანსებშიც და იქმნებიან ისეთი კომპანიები რომლებსაც fintech კომპანიები ეწოდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ტექნოლოგიები არ არის სიახლე, იგი მაინც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ხმაურიანი მიმართულებაა. არ არის მარტივი, მოხდეს ფინანსების გაციფრულება. გზად უამრავი გამოწვევა და რისკი ჩნდება. გონივრულია, რომ სკეპტიციზმის ჯანსაღი დოზით უნდა მივუდგეთ ბრჭყვიალა, მაგრამ ჯერ კიდევ დაურეგულირებელ ფინტეკ კომპანიებსა და მათ მაღალ დაპირებებს.

ნაშრომის მიზანი იყო გარკვეულიყო თუ რა ტენდენციები, რისკები და გამოწვევები იჩენს თავს საქართველოში. მსოფლიოს მაგალითისა და ბაზარზე ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების საფუძველზე გამოვლინდა fintech-ის დადებითი და უარყოფითი ასპექტები. მათი შედარებითა და ანალიზით რამდენიმე რეკომენდაციაც გამოიკვეთა.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში საბანკო პროცესები ვითარდება და აშკარა მატება ჩანს საბანკო ბარათების გაცემისა და ოპერაციების მოცულობაზე, ასევე ხარისხსა და ბრუნვაზეც. ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო იზრდება სხვადასხვა აპლიკაციების მოხმარება. არსებობს ის საძირკველი, რომელზეც შესაძლებელია შეიქმნას კარგი გარემო fintech კომპანიებისათვის, რაც გაზრდის ფულის მოძრაობას, შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს და, საბოლოოდ, დაფიქსირდება ეკონომიკის ზრდა.

საძიებო სიტყვები: ფინტექი, ფინანსური ტექნოლოგიები, ფინტექის რისკები, ფინტექის გამოწვევები, ფინტექის ტენდენციები, ფინტექის რეგულირება.

Abstract

The world is developing and Georgia is following its footsteps. Technologies apply the technologies and are created by companies called fintech companies. While financial technology is not a novelty, it is still one of the most active and noisy areas. Digitalization of finances is quite complicated issue. There are many challenges and risks along the way. It is prudent to approach a healthy dose of skepticism with glittering but still unregulated fintech companies and their high promises.

The goal of the paper was to determine the trends, risks and challenges in Georgia. The positive and negative aspects of fintech have been identified based on the global example and qualitative and quantitative market research. Their comparison and analysis revealed severad recommendations.

During the recent year, banking processes in Georgia are developing and there is a clear increase in the issuance and volume of bank cards, as well as in quality and turnover. Consumption of various applications is increasing every year. There is a foundation on which it is possible to create a good environment for fintech companies, which will increase cash flow, reduce operating costs, and ultimately record economic growth.

Key Words: fintech, financial technologies, fintech risks, fintech challenges, fintech trends, fintech regulation.

მადლობა

უწინარესად, მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ კომპანიას, რომლებიც დაინტერესდნენ და არ დაიზარეს ინტერვიუებში მონაწილეობის მიღება. სწორედ თითოეული კომპანიის დახმარებით მოხერხდა საკვლევი მასალების შეგროვება. მადლობა მათ გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. ასევე თითოეულ პირს, რომლებიც ჩაერთვნენ რაოდენობრივ კვლევაში. და ბოლოს, რაღა თქმა უნდა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს - დავით კიკვიძეს, მიმართულების მოცემისა და პროფესიული გამოცდილების გაზიარებისათვის. მან ასევე მიიღო მონაწილეობა კვლევის პროცესშიც, როგორც საქართველოს ფინტექ ასოციაციის აღმასრულებელმა თავმჯდომარემ.